**თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

**ფაკულტეტი –** ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა

**კათედრა –** ქართული ფილოლოგიის

**სასწავლო კურსი –** **ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიები**

**კურსის კოდი – P.2.K.12**

**კრედიტების რაოდენობა – 5**

**კურსის სტატუსი – სავალდებულო**

**ლექტორი:** ***სრული პროფესორი*** **ნუნუ გელდიაშვილი**

ტელ. 7-61-05; 893-14-64-05. ელ.ფოსტა: **nunu.geldiashvili@gmail.com**

თესაუ, I კორპუსი, II სართული, ქართული ფილოლოგიის კათედრა, ტ. 7-63-17.

სტუდენტები დამატებით მიიღებიან: ხუთშაბათს – $13^{00}$ – $14^{00}$ სთ.

სალექციო კურსი გათვალისწინებულია სამაგისტრო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის პროგრამაში II სემესტრში.

კურსის ხანგრძლივობაა –15 კვირა – 125სთ. ა/. საააუდიტორიო – 45 საათი;

ბ/. დამოუკიდებელი – 80 სთ.

კვირაში ჩატარდება 3 საააუდიტორიო შეხვედრა.

კურსი მოიცავს სალექციო-თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოს; ცოდნის სისტემატურ განმტკიცება-შემოწმებას წერითი და ზეპირი გამოკითხვების მეშვეობით; სტუდენტებს მიეცემათ საშინაო დავალებები; სწავლება წარიმართება ინტერაქტიურად. კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს მიენიჭება 5 კრედიტი.

**კურსის მიზანი –** კურსი მიზნად ისახავს საქმიანი რიტორიკის და საქმიანი (ფუნქციური) წერის ტექნოლოგიების (თეორიისა და ტექნიკის) შესწავლას, რაც ძირითადად გულისხმობს საქმიანი ურთიერთობების სხვადასხვა სიტუაციაში (მოლაპარაკებები, საუბრები, დიალოგები, დებატები, პოლემიკა, დისკუსია) რაციონალური (პროდუქტიული, ეფექტური) სამეტყველო უნარ–ჩვევების დაუფლებას წარმატებული კომუნიკაციის ორგანიზებისა თუ შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საქმიანი კომუნიკაციისას, როდესაც ხდება აზრების, შეხედულებებისა თუ ინფორმაციის გაცვლა რაიმე საკითხის გადაწყვეტის ან პრობლემის გადაჭრის მიზნით, საუკეთესო (ოპტიმალური) ვარიანტის მოძებნა თუ კონფლიქტის თავიდან აცილება დიდ ნიჭსა და ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ **სალექციო კურსის ამოცანაა** საქმიანი კომუნიკაციების ეფექტურობის ტექნოლოგიების გაცნობა – სამეტყველო ქცევის ადეკვატურად წარმართვის, მისი ძირითადი ეტაპებისა და იმ ფსიქოლოგიური პრინციპების გაანალიზება, რითაც შესაძლებელი ხდება წარმატებების მიღწევა საქმიანი ურთიერთობებისას. აგრეთვე, კამათის კულტურისა და საჯარო გამოსვლის ოსტატობის დაუფლება ენის კომუნიკაციური ასპექტებისა და არავერბალური კომუნიკაციის გამოვლინებების შესწავლის საფუძველზე.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა – არ გააჩნია;**

**სალექციო კურსის შედეგი** – კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი სისტემაში მოიყვანს ოფიციალური სტილის, კერძოდ, ზეპირი და წერითი საქმიანი ურთიერთობებისათვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რაც გაუადვილებს პიროვნებათაშორის კომუნიკაციებს, ჩამოუყალიბდება პროფესიული უნარ-ჩვევები. კომუნიკაციის მიზნიდან გამომდინარე, შეძლებს ინფორმაციის გადარჩევასა და გადამუშავებას; მოსმენისა და აღქმის ადეკვატურობას; თავისუფლად და კვალიფიციურად ნებისმიერი ტიპის საქმიანი (წერითი თუ ზეპირი) ტექსტის ლოგიკურად აგებას, პრობლემის არსის მკაფიოდ წარმოჩენას; საქმიანი პარტნიორის დარწმუნებას; საზოგადოების წინაშე არავერბალური კომუნიკაციის გამოვლინებების მართვას. სტუდენტი მომავალში იქნება ინტელექტუალურად ამაღლებული, კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც წარმატებით გაივლის კონკურსს სახელმწიფო, კერძო, სამოქალაქო თუ სამართლებრივ სფეროში და დაიკავებს ადმინისტრაციულ ან სხვა შესაბამის თანამდებობას ამა თუ იმ ორგანიზაცია-დაწესებულებაში.

| | **ზოგადი კომპეტენციები** | **დარგობრივი კომპეტენციები** |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება.** | სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საფუძვლიანი ცოდნა; პრეზენტაციის უნარი; საქმიანი ტექსტების აგების პრინციპები | საქმიანი წერითი თუ ზპირი მეტყველებისას ვერბალურად გამოხატული სწორი ენობრივი კონსტრუქციების ჩამოყალიბებისა და პროდუცირების უნარი; |
| **ცოდნის პრაქტიკაში** | შეძენილი თეორიული | კითხვის, წერის, საუბრისა და |

| | | |
|---|---|---|
| **გამოყენების უნარი** | ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება | მოსმენის უნარ–ჩვევები პროფესიულ საზოგადოებაში |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | დებატებისა და დისკუსიების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება. |
| **კომუნიკაციის უნარი** | საქმიანი  ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიურ საზოადოებაში | ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიონალურ დონეზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. |
| **სწავლის უნარი** | შეუძლია დამოუკიდებლად ტექნიკური საშუალებების დახმარებით სწავლა; საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა. | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება  და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება; სწავლა გამოცდილი სპეციალისტების  პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი; პიროვნული ღირსებების ა და მოქალაქეობრივი ვალდებულებების დამკვიდრება. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას.; შეაქვს წვლილი ღირებულებების დამკვიდრებაში. |

## სალექციო კურსის სტრუქტურა

**I კვირა**

სტუდენტები გაეცნობიან სილაბუსს და შეფასების კრიტერიუმებს; საგნის არსს და ამოცანებს.

**სალექციო თემა –** ა/. <u>შესავალი</u> –  ენის რაობა და ფუნქციები;

ქართული ენა, როგორც ერთ-ერთი უძველესი და დიდი კულტურის მქონე ენა, რომლის სიღრმისეული ცოდნა განმსაზღვრელია თანამედროვე საქმიანი ადამიანის წარმატებისა ჩვენს ქვეყანაში.

ბ/. მეტყველება (სამეტყველო ქმედება), როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის (კომუნიკაციის) ფორმა შემეცნებით-შრომით პროცესში აზრებისა და იდეების გაცვლის მიზნით.

გ/. საერთო კულტურა და მეტყველების კულტურა. შინაგანი და გარეგანი მეტყველება. მეტყველების სტილი. სასაუბრო და წიგნური სტილი. მათი ძირითადი მახასიათებლები და რეალიზების სფეროები.

**ლიტერატურა:** 1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004. გვ. 3-7; 12-27; 188-200.

2. ნ. გელდიაშვილი, ლექციის ტექსტი

**II კვირა**

**სალექციო თემა** – ოფიციალურ-საქმიანი სტილი. მიზანი, ფუნქციონირების სფეროები და გამოხატვის ფორმა. საქმიანი კომუნიკაცია თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში. საქმიანი კომუნიკაციის ძირითადი სახეები (საქმიანი წერა, საქმიანი საუბრები). საქმიან ტექსტზე მუშაობის ძირითადი პრინციპები [მიზანი, სათაური, აბზაცი, უმთავრესი აზრი, თანამიმდევრობა...].

**საქმინი ტექსტები:** ავტობიოგრაფია (CV); თანდართული (სამოტივაციო) წერილი; განცხადება.

**ლიტერატურა:** 1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004წ. გვ. 201-218

2. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ., 2007წ. გვ. 4-9; 33-44;

3. ჰ. გუტბროდი, ნ. დანელია, საქმიანი ურთიერთობები; თბ., 2007წ. გვ. 3-30; 152-158;

**III კვირა**

**სალექციო თემა** – საქმიანი კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებლები (სპეციფიკა, ურთიერთობის ეტაპები); ეფექტურობის ტექნოლოგია და ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპები.

**საქმიანი ტექსტები** – ხელშეკრულება, მინდობილობა, ხელწერილი.

**ლიტერატურა:** 1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004წ. გვ..293-298

2. შ. კეკელია, საქმის ქაღალდები, თბ., 1973წ. გვ.19,25,30;

3. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ. 2007წ. გვ. 60-

**IV-V კვირა**

**სალექციო თემა** – საქმიანი საუბრების სახეები:

ორგანიზაციული, საკადრო (სამსახურებრივი), დისციპლინარული, შემოქმედებითი.

**პრაქტიკული ვარჯიშობები.**

**საქმიანი ტექსტები:** ოქმი, ოქმის ამონაწერი

**ლიტერატურა:** 1. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ. 2007წ. გვ. 15-26

2. შ. კეკელია, საქმის ქაღალდები, თბ., 1973წ. გვ. 42;

3. ჰ. გუტბროდი, ნ. დანელია, საქმიანი ურთიერთობები; თბ., 2007წ. გვ. 131-140

VI –VII კვირა

**სალექციო თემა –** კონფლიქტი საქმიანი კომუნიკაციებისას. მისი ტიპები, წარმოშობის მიზეზები და თავიდან აცილების შესაძლებლობები.

**საქმიანი ტექსტები:** საქმიანი წერილი /მიმართვა/, ფაქსი და ელ. წერილი.

**ლიტერატურა.:** 1. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ., 2007წ. გვ. 44-47; გვ. 55-58.

2. ჰ. გუტბროდი, ნ. დანელია, საქმიანი ურთიერთობები; თბ., 2007წ. გვ. 87-96; 140-145;

VIII-IX კვირა

**სალექციო თემა –** საჯარო გამოსვლის (ორატორული) ხელოვნება, ტიპები [მოლაპარაკება, პრეზენტაცია, სიტყვა, კამათი]. საჯარო გამოსვლის თავისებურებანი, სავალდებულო უნარ-ჩვევები და მისთვის მზადების ეტაპები.

**საქმიანი ტექსტები:** დახასიათება/რეკომენდაცია

**ლიტერატურა:** 1. შ. ქურდაძე, ზეპირი მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1976. გვ. 71-76; 94-120; 150-158; 183-187.

2. ი. ქვაჩახია, როგორ ვისწავლოთ, თბ., 1989 გვ. 67-74.

3. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ., 2007; გვ. 73.

4. შ. კეკელია, საქმის ქაღალდები, თბ., 1973წ. გვ. 17;

5. ნ. გელდიაშვილი, ლექციის ტექსტი;

X–XI კვირა

**სალექციო თემა –** საქმიანი კომუნიკაცია და კამათის (პოლემიკა) კულტურა. კამათის ტიპები და ურთიერთობა ოპონენტებს შორის.

**პეზენტაციები**

**ლიტერატურა:** 1. ნ. გელდიაშვილი, ლექციის ტექსტი.

5. ლ. დოლიკაშვილი,ლ. დანელიშვილი,გ. ჯოლია, ხ. შატაიძე, ეტიკეტი და კორესპონდენცია, გამომცემლობა ,,ლეგა“, თბ., 2008

**XII-XIII კვირა**

**სალექციო თემა** – არავერბალური კომუნიკაციის გამოვლინებები: ხმის ტონი, ტემბრი, ჟესტი, მიმიკა, პოზა, მზერა, ემოცია... მათი როლი საქმიან კომუნიკაციებში.

**პრეზენტაციები**

**ლიტერატურა**: 1. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია, ფუნქციური წერა, თბ. 2007; გვ. 13-16;

2. შ. ქურდაძე, ზეპირი მეტყველების კულტურის საკითხები, თბ., 1976; გვ. 129-143;

3. ნ. გელდიაშვილი, ლექციის ტექსტი.

**XIV-XV კვირა**

**პრეზენტაციები, ნამუშევართა ანალიზი...**

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები** – სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ **100** ქულიანი სისტემით.
**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

ა/. **ორი შუალედური წერა** —— მაქსიმუმ **30** ქულა, თითოეული მაქსიმუმ **15** ქულა (VII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება.

***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. დავალება — თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:
   - საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება — 4 ქულა;
   - ნაშრომის აგება და არგუმენტირება-ციტირება— 4 ქულა;
   - წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა ——— 2 ქულა;
     დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა ––– 1 ქულა;
     10-ზე მეტი შეცდომა ———–—– 0 ქულა
2. **დავალება — პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**
   - დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება––3 ქულა;
     ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა;
     ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;
     არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი ––– 0 ქულა.

- წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;
- არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა——— 0 ქულა.

**ბ/. ზეპირი სააუდიტორიო აქტივობები –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

**პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:**

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა) ;
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;
- პრეზენტაციის კულტურა

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი** — მაქსიმუმ 10 ქულა,

**შეფასების კრიტერიუმები:**

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ———— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) —— 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა ————— 2 ქულა.

**II. დასკვნითი გამოცდა —— მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)**

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

ძირითადი ლიტერატურა:

1. **ა. არაბული,** ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბ., 2004. (თესაუს ბიბლიოთეკა, **1/18061-18075;**).
2. **პ. გუტბროდი, ნ. დანელია,** საქმიანი ურთიერთობები, გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბ., 2006. (ლექტორის პირადი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი).
3. **ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია,** ფუნქციური წერა; თბილისი, 2007. (ლექტორის პირადი ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი).
4. **შ. ქურდაძე,** ზეპირი მეტყველების კულტურის საკითხები, გამომცემლობა ,,განათლება", თბ., 1976. (თესაუს ბიბლიოთეკა).

**დამხმარე ლიტერატურა**: (ლექტორის პირადი ბიბლიოთეკა)

1. **შ. კეკელია,** საქმის ქაღალდები, გამომცემლობა ,,განათლება", თბ., 1973.
2. **ი. ქვაჩახია,** როგორ ვისწავლოთ, გამომცმლობა ,,ნაკადული", თბ., 1989.
3. **ნაპოლეონ ჰილი,** იფიქრე და გამდიდრდი, გამომცემლობა ,,ცოტნე", თბ., 2005.
5. **ლ. დოლიკაშვილი,ლ. დანელიშვილი,გ. ჯოლია, ხ. შატაიძე,** ეტიკეტი და კორესპონდენცია, გამომცემლობა ,,ლეგა“, თბ., 2008